

ქართველ ებრაელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა — მნიშვნელოვანი ფაქტორი ახალციხის მულტიკულტურული გარემოს ჩამოყალიბებაში

ცირა მისნიშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ყოველი ქვეყნის წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მასში მცხოვრებ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ჰარმონიულ უთიერთობაზე. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, თუ მეტი ვიცით ერთმანეთის კულტურის შესახებ. ასეთი ცოდნა ხელს უწყობს განსხვავებული ურთიერთპატივისცემას, სტერეოტიპების დაძლევის, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრებას და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას.

სწორედ ამ მიზნით, უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველ ებრაელთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის როლის მნიშვნელობა საქართველოში არსებული მრავალკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. ერთ-ერთ მაგალითად კი აღებულია ახალციხეში მცხოვრები ებრაელთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის თავისებურებების ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი პროცესი.

სამცხე-ჯავახეთში, ებრაელთა მოსახლეობის უძველესი კვალი ვერ კიდევ ანტიკური ხანიდან აღინიშნება, ხოლო შუა საუკუნეებში მათი ყველაზე დიდი დასახლება უფრო მეტად ქალაქებში შემორჩა. ამას ადასტურებდა ქალაქ ახალციხეში ისტორიულად არსებული ქართველი ებრაელების საკმაოდ დიდი თემი. ამასვე ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ებრაელთა უბანი ძველი საცხოვრებელითა და სალოცავებით, სასაფლაოებით, კულტურული და საოჯახო ყოფის საინტერესო ელემენტებით. ებრაელთა უბანი თავისი ყველა ატრიბუტით გახდა ახალციხის ყოფისა და ისტორიის ერთი განუყოფელი ნაწილი. სწორედ სხვადასხვა ეთნოსების ისტორიული თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებული უნიკალური მულტიკულტურული გარემოს შესწავლა და წარმოჩინება აქტუალურია და მნიშვნელოვანი მსოფლიოში არსებული ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის დიპლომატიისა და კონფლიქტების ფონზე.

ქალაქი ახალციხე, რომლის წარმოშობის ისტორია საკმაოდ ძველია და მე-9 მე-11 საუკუნეებს განეკუთვნება, ყოველვის ითვისებდა მრავალი რელიგიისა და ეთნიკური კუთვნილების მქონე მოსახლეობის ერთად ცხოვრების საუკეთესო ოაზისად. თავად ახალციხის ძველი ნაწილის ე.წ რაბათის ძველი უბნების დასახლებას და ტოპონიმებს თუ მოვიხილავთ, ეს მასალები სწორედ ამ მნიშვნელოვან ფაქტორზე მიგვანიშნებს. ძველი ახალციხის რაბათის უბანი კვარტლებად იყო დაყოფილი. სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის წარმომადგენელთა უბნებად დასახლებას ეთნიკური ერთგვაროვნება, რელიგია, საერთო ენა, საერთო, სამეურნეო ინტერესები, კოლექტიური დაცვის აუცილებლობა განსაზღვრავდა. სწორედ ამ კრიტერიუმებით ჩამოყალიბდა ძველ ახალციხეში კათოლიკეთა, მართლმადიდებელთა, მუსლიმთა, ებრაელთა, სომეხ გრიგორიანთა უბნები და ეს ძველი სახელწოდებები დღემდე შემორჩა. განსაკუთრებული მნიშვნელობით კი გამოირჩეოდა ებრაელთა უბანი. დღესაც ახალციხის მრავალეროვანი მოსახლეობა ქალაქის რომელიმე გეოგრაფიული ადგილის, ან მხარის მისანიშნებლად ამბობს - ებრაელთა უბანი, ან მაგ. ებრაელთა უბნის ახლოს და სხვა. განსხვავებით ებრაელთა უბნისაგან სხვა ისტორიული უბნები უკვე თანამდროვე ყოფაში ახლად დარქმეული ქუჩების სახელებით მოიხსენიება. მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილი ებრაელთა

უბნის ე.წ. პრივილეგირებული შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს, კიდევ ერთი ხაზგასმია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ებრაელები და მათი დასახლების ადგილები ახალციხელი მოქალაქეებისათვის - ქართველი, თუ სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებისთვის. თუ ქართველი ახსენებდა ებრაელთა უბანს, სომეხი, ან მუსლიმი ამბობდა - იაუდი მაილა- მაჰალა, რომელიც ასევე უბანს ნიშნავს.

ძველ ახალციხეში ებრაელთა უბანი მსგავსად სხვა უბნებისა, პარტონიმიულ საფუძველზე იყო აღმოცენებული და სისხლით ნათესავ მოგვარეთა მონოგენური უბნებისაგან შედგებოდა. ჩემს მიერ შესწავლილი ეთნოგრაფიული მასალებიდან გვარების ზედმეტსახელებიც კი იქნა მოძიებული. მოგვხსენებათ ქართველი ებრაელები ქართულ გვარებს ატარებდნენ და სწორედ ამ გვარებად დასახლებულ კვარტლებს გააჩნდათ გვარების უფროსების სახელების მიხედვით შერქმეული სახელწოდებები. მაგ. შალოლაშვილები - კაჭოთი, დავითაშვილები - ფეფელათი, ბებერაშვილები - შიპტოთი, ხანუკაშვილები ქორჭალათი და ა.შ.

როგორი იყო ახალციხეში ებრაელთა დასახლების დინამიკა და სტატისტიკა? წარმოგიდგინებ მოკლე ინფორმაციას:

თუ მოვიხილავთ ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ქართველი და ებრაელი მთხრობელების ნაამბობს, ებრაელთა უბანში იმდენად დიდ რაოდენობას უცხოვრია, რომ მათი რიცხვი 3 ათასს აღწევდა, ეს შუა საუკუნეების ახალციხისთვის, რომლის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 13 ათასზე მეტი არ იყო, ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნილს წარმოადგენდა. შუა საუკუნეებში ახალციხე, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის ცენტრი მიმზიდველი იყო შემოქმედი და საქმიანი ეთნიკური ჯგუფებისათვის და ამიტომაც სამცხე-ჯავახეთში სხვადასხვა ადგილებში მცხოვრები ებრაელების დასახლება კონცენტრირდება სწორედ ახალციხეში. ეს დაახლოებით მე 17 ე მე 18 საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს, თუმცა, როგორც შესავალში აღინიშნა, ზოგადად სამცხე-ჯავახეთში ებრაელთა დასახლების უფრო ადრეული კვალიც ფიქსირდება.

მე 19 საუკუნის დასაწყისის აღწერებში მათი რაოდენობა უფრო შემცირებულია, 1846-47 წლის რუსულ აღწერებში ახალციხეში ცხოვრობდა უკვე 1370 სული ებრაელი. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების შესაბამისად ახალციხე მე 19 საუკუნის 80 იანი წლებიდან კარგადაა სავაჭრო ეკონომიკური მნიშვნელობას, რკინიგზების გაყვანამ, საზღვაო პორტების აქტიურმა ამოქმედებამ, სავაჭრო გზების უფრო დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) გადაადგილებამ შეამცირა ებრაელთა რაოდენობა. ახალციხის ეთნიკური შემადგენლობა ასევე მნიშვნელოვნად იცვლება მე 19 ე საუკუნის 30 იანი წლებიდან და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ახლა სომხური კოლონისტის მოსახლეობით ჩანაცვლება ხდება, რომელთა დასახლებები გაიზარდა, როგორც ახალციხის ძველ ნაწილში ებრაელთა უბნის გვერდით, ისე ქალაქის ახალ ნაწილში. მეოცე საუკუნის 60 იან წლებში ებრაელთა დაახლოებით 250 ოჯახი იყო დარჩენილი მხოლოდ, 1989 წლის აღწერებით უკვე დაახლოებით 80 ოჯახი. 1996 წლის მონაცემებით კი 30 ოჯახი. საბჭოთა პერიოდში 70 იანი წლებიდან იწყება „ალია“ (რეპატრიაკია) და ებრაელთა დაბრუნება ისტორიულ

მინაზე. სამწუხაროდ დღეს ახალციხეში სულ 5 - 6 ქართველი ებრაელი თუა დარჩენილი, არსებულ სალოცავებსა და საფლავებს უფლის ძალიან დიდი პატიოტი და ებრაელთა ისტორიის დამცველი სიმონ ლევიშვილი, რომელიც მემკვიდრეობით თავისი მამის იოსებ ლევიშვილის, რომელიც იყო „გაბაი“ ახალციხის ებრაელთა თემში, ტრადიციას აგრძელებს. სამწუხაროდ, აღარ ტარდება აქტიურად ლოცვები, რადგან 10 მამაკაცის, ანუ „მინიანის“ შეგროვება ვერ ხერხდება და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში — საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ ებრაელთა ხარჯზე თუ ჩატარდება ლოცვა. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალციხელ ებრაელთა ისტორია, ძველი უბანი მნიშვნელოვანია და სიამაყეა მათთვის. ისინი დიდი სიბოთი და სიყვარულით გიყვებიან ებრაელი მეგობრებისა და მათთან წლების განმავლობაში არსებული ურთიერთობების შესახებ.

ქართულ-ებრაული ტრადიციებისა და კულტურული ერთობის დიდი მავალითაა ებრაელთა დასახლების საერთო ფორმებისა და საცხოვრებლების, ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება. ახალციხელი ებრაელები ცხოვრობდნენ მესხურ დარბაზულ საცხოვრებლებში და მათ გვიანობამდე შემოინახეს, ადგილობრივი საცხოვრებლებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკა, ისე მტკიცედ, რომ ზოგიერთი ქართული ტერმინის, ან ტრადიციის დადასტურება გვიხდებოდა უფრო მეტად ებრაელ მოსახლეობაში, ვიდრე ქართველებში. მათ შემოინახეს მაგ. ახალციხეში ძველი ადგილობრივი ტერმინი „აჯილაკი“, „ცეცხლაპირი“ და ა.შ.

ებრაელთა უბნის დიდი ნაწილი სალოცავებთან ახლოს იყო დასახლებული იარუსული ფორმის წყობით. უბნის შუაგულში დღესაც არის შემორჩენილი ორი სალოცავი. ერთი 1862 წელსაა აშენებული, რომელსაც შესასვლელში არსებული წარწერა გვამცნობს, მეორე კი 1741-42 წლებით. როგორც ადგილო-

ბრივები გადმოგვცემენ მეორე სალოცავის აშენება აუცილებელი გამხდარა, რადგან უბანში ებრაელების იმდენად დიდი რაოდენობა იყო, რომ ერთი სალოცავი არ ყოფნიდათ. მეორე, შედარებით გვიან აშენებული სალოცავი აწყურიდან გადმოსულ ებრაელებს აუშენებიათ (ან-ყური-ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული სოფელი) ახალციხის ებრაელთა სალოცავს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მას ემსახურებოდნენ განათლებული და დიდი ავტორიტეტის მქონე რაბინები. ახალციხის სალოცავები და მისი მრველი განსაკუთრებული იყო იმიტაც, რომ რელიგიური რიტუალები ებრაულთან ერთად ქართულადც მიმდინარეობდა და ითარგმნებოდა. დღემდე არის შემორჩენილი ახალციხის სინაგოგაში ქართულად ნათარგმნი თორა, რომელსაც დიდი რუდუნებით ინახავს ახალციხის ძალიან მცირერიცხოვანი თემი. ახალციხის სალოცავში დაცულია ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და უნიკალური სეფერ თორები, როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი. თბილისის ებრაელობა მეტრიკაციის საკითხებზე ახალციხის სალოცავსა და რაბინს მიმართავდა. როგორ ჩანს, ამ მაღალ იმიჯს გარდა სალოცავისა, აქ მოღვაწე რაბინების დიდი ავტორიტეტიც განსაზღვრავდა.

ძალზე საინტერესოა და უნიკალური თავისი ისტორიითა და არქიტექტურით ახალციხელ ებრაელთა სასაფლაო, რომელიც ახლა საინტერესო ისტორიულ ძეგლსაც წარმოადგენს. აქ დღემდე შემორჩენილია უნიკალური და უძველესი საფლავის ქვები ებრაული წარწერებით, რომელიც ამოკითხული იქნა და გამოცემული უკვე წინადაც ცნობილი მეცნიერის ნისან ბაბალიაშვილის მიერ. საფლავის ეს ქვები გამოირჩევა თავისი სიძველითა და არქიტექტურის უნიკალურობით. ყველაზე უძველესი საფლავის ქვები მე 17-მე 18 საუკუნით არის დათარიღებული.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დაიცვეს და შემოინახეს ყველა რელიგიური წეს-ჩვეულება უცვლელად მიუხედა-

დასასრული მე-7 გვერდზე

Заявление Евроазиатского еврейского конгресса в связи с заключением соглашения по ядерной программе Ирана



Евроазиатский еврейский конгресс (ЕАЕК) выражает озабоченность в связи с заключением между Ираном и шестью мировыми державами соглашения по иранской ядерной программе и разделяет глубокую тревогу Израиля в связи с этим договором. Многолетняя поддержка Исламской республикой антиизраильских сил и постоянные угрозы в адрес еврейского государства со стороны высших иранских должностных лиц дают весомые основания считать, что достигнутые в Вене договоренности не

столько окажут сдерживающее влияние на Иран, сколько «развяжут ему руки» в обозримом будущем.

ЕАЕК сожалеет, что интересы еврейского государства, в первую очередь, его безопасность, не были учтены международными посредниками при принятии решения о сделке с Ираном, а израильские представители не могли участвовать в выработке соглашения. Жесткое требование отказаться от любой поддержки вооруженных антиизраильских формирований и прекратить возмутительную пропаганду, призывающую к уничтожению еврейского государства, могло бы продемонстрировать стремление мирового сообщества не просто обезопасить еврейское государство, но заставить иранские власти вести цивилизованный диалог.

ЕАЕК надеется, что подписавшие соглашение мировые державы продемонстрируют волю и способность заставить Иран реально отказаться от разработки ядерного вооружения и смогут гарантировать безопасность еврейского государства.

დანიელ ლევი: მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, ის, თუ როგორ ათვისებს ქართული ხედი სტატისტიკას და თავის მოღვაწეებს

გაზეთ „მენორას“ რედაქციამ ისარგებლა ბარ-ილანის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორის საქართველოში ი. ჯავახიშვილის თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მონვეული პროფესორის, ბატონ დანიელ ლევის (ლევიაშვილის), თბილისში ყოფნით და მიუხედავად იმისა, რომ ერთობ გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა, მაინც მოახერხა მასთან გასაუბრება.

— ბატონო დანიელ, თანახმად ჩვენი გაზეთის ტრადიციისა, გთხოვთ თავად წარუდგეთ ჩვენს მკითხველს — უამბოთ მას თქვენი ცხოვრების შესახებ...


— საიდან დაიწყეთ?
— თუნდაც იქიდან, საქართველოში სად ცხოვრობდით, საიდან წახვედით?

— საქართველოში, სენაკში (მაშინ ცხაკაია ერქვა) დავიბადე 1957 წელს. იქვე ვსწავლობდი. 1971 წელს დაახლოებით 400-500 ებრაელის ოჯახი წავედით. წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ ყოფილა, არაფერი ვიცოდით ისრაელზე, გარდა იმისა, რასაც ვკითხულობდით გაზეთ „კომუნისტში“. იქ კი არაფერი ეწერა იმის გარდა, რომ ისრაელი აგრესორი იყო და არაბულ ქვეყნებს ეომებოდა. ოჯახში 10 დედ-მამიშვილი ვიყავით. ჩემს მშობლებს პროფესია არ ჰქონდათ, მამაჩემი იყო მემუშე, მესარკვევე, ხოლო დედა — დიასახლისი. ახლა, როდესაც ჩემი მშობლების გადაწყვეტილებაზე ვფიქრობ, არ ვიცი მათ ადგილზე მე როგორ მოვიქცეოდი. არ ვიცოდით ებრაული ენა, მხოლოდ ვკითხულობდით თორას, მაგრამ შინაარსი არ გვესმოდა. ბიბლიიდან ვიცოდით, რომ ისრაელი ეს არის „ებრაელთა ქვეყანა“. საქართველოში ცხოვრება გვიყვარდა და კმაყოფილი ვიყავით. გვექონდა სახლი, საკუთარი ქერი და საჭმელი. მდიდრები არ ვიყავით, თუმცა, როდესაც არ იცი, როგორია მატერიალური სიმდიდრე, ის არ გაკლია და კმაყოფილი ხარ. მამა ხშირად ამბობდა ხოლმე ბიბლიიდან ფრაზას: „მდიდარი ის არის, ვინც კმაყოფილია იმით, რაც აქვს“. შესაბამისად, ჩვენ „მდიდრები“ ვიყავით. ბურთი არ გვექონდა, მაგრამ ფეხბურთს ვთამაშობდით მჭიდროდ შეკრული დახეული ნაჭრისაგან გაკეთებული ბურთით. თითქმის არასდროს ჩამიცვამს ახალი ტანსაცმელი. მახსოვს, ცხაკაიდან წასვლის თობაზე, სახლში საინტერესო საუბარი იყო, უფროსი ძმები და მშობლები კამათობდნენ წავსულიყავით თუ არა. ჩემი ძმები ამბობდნენ, თუ ისრაელში არ წავალთ, საცხოვრებლად ბირობიჯანში გავგვავზავნიანო. ამიტომ გადაწყდა ისრაელში წასვლა. გაცვილებს მახსოვს. დიდი ოჯახი ვიყავით, ჩემს უფროს ძმას ცოლ-შვილიც კი ჰყავდა. მატარებელში ერთი ვაგონი თითქმის გადავსეთ, მთელი ცხაკაია გვაცილებდა, მახსოვს როგორ ვეხუტებოდით ხალხს ვაგონის ფანჯრებიდან, ისინი კი ტირილით გვაცილებდნენ.

— რამდენი წლის იყავით, როდესაც საქართველოდან წახვედით?

— 13 წლის, მერვე კლასში. მახსოვს, როდესაც ბარგს ვალაგებდით, ხაზვის, მათემატიკის და იმ საგნების ნიგნები, რომელიც მიყვარდა, ისრაელში წავიღე და შემდეგ ჩემს შვილებსაც ამ ნიგნებიდან ვასწავლიდი.

— როგორი იყო ისრაელში



ცხოვრების პირველი პერიოდი?

— ემიგრაცია რთული პროცესია, განსაკუთრებით ჩემი მშობლების ასაკის ხალხისთვის, როდესაც შენ უკვე არსებულ ცხოვრებას ტოვებ და ახალი ცხოვრების დასაწყებად მიდიხარ. უნივერსიტეტში, სადაც ვასწავლი, ეკონომისტიები სწავლობენ ემიგრაციის მოდელებს. უმეტესად ემიგრაცია ხდება პოლიტიკური თავისუფლებისთვის, ან ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ძირითადად მაინც ამ უკანასკნელისთვის. ჩვენ, არც პირველი და არც მეორე მიზეზით არ წავსულვართ. იშვიათად, მაგრამ მესამე მიზეზი არის რელიგია, რის გამოც ჩემი აზრით, ჩემი მშობლები წავიდნენ ისრაელში. იქ ჩვენი ეკონომიური პირობები საგრძობლად გაუმჯობესდა. ოჯახში გაჩნდა ტექნიკა, რაც დიდი სიურპრიზი იყო ჩვენითვის, რადგან ამ საგნების არსებობის შესახებ არც კი ვიცოდით. შევეცადეთ შეგვენარჩუნებინა ქართული ენა, ჩემი შვილები მესამე თაობა და მათ იციან ქართული, თუმცა, როდემდე შენარჩუნდება და გაგრძელდება ეს პროცესი, არ ვიცი.

როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება ისრაელში?

— ისრაელი ეკონომიკურად სხვაგვარად იყო აგებული, სხვა სტრუქტურა იყო, საქართველოში საჭმელი არ გავკლდა, იქ საჭმელი რომ გვექონდა, უნდა გვემუშავა ყველას — დიდსაც და პატარასაც. მე გამიმართლა რომ მოვახერხე სწავლა, რაშიც ჩემი უფროსი და-ძმა დამეხმარა. ისრაელში რა ეტაპებიც მე გავიარე, ყველა გადის ამ საფეხურებს. შევედი საშუალო სკოლაში, შემდეგ უმაღლეს ჯგუფებში სადაც 1,5 წელი ვსწავლობდი. თავიდან გამიჭირდა — ერთდროულად უნდა მესწავლა ინგლისური, ივრითული და სხვა საგნებიც. უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ 2 წელი უნივერსიტეტში ვსწავლობდი ბიოლოგიურ ფაკულტეტზე, შემდეგ 3 წლით წავედი ჯარში. ჯარის დასრულების შემდეგ განვაგრძე უნივერსიტეტში სწავლა. ჩემი მშობლები ამბობდნენ დანიელი დოქტორი უნდა გამოვიდესო. ახალგაზრდა ვიყავი და შესაბამისად ძიების პროცესი მქონდა, არ ვიცოდი, რა მინდოდა, ბიოლოგიურის შემდეგ ვსწავლობდი მათემატიკურ ფაკულტეტზე, საბოლოოდ ბენ-გურიონის უნივერსიტეტში, ეკონომიურ ფაკულტეტზე დავიწყე სწავლა, მივიღე ბაკალავრის ხარისხი. ჩავაბარე მაგისტრატურაშიც. შემდეგ ლექტორებმა მირჩიეს რომ სწავლა გამეგრძელებინა ამერიკაში. მოვიპოვე სტიპენდია და გავხდი მინესოტას უნივერსიტეტის სტუდენტი. 1981 წელს დავქორწინდი, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტზე და ჩემ მუუღმესთან ერთად წავედი ამერიკაში. ამერიკაშიც განმეორდა იგივე პრობლემები (ენა, ეკონომიური მდგომარეობა), ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩემი მუუღმე იმუშავებდა. უფულოების გამო ხშირად ვსტუმრობდით, მეორადი პროდუქციის მაღაზიებს, სადაც ვყიდულობდით საჭირო ტანსაცმელს, ნივთებს. ყველა ემიგრანტს აქვს სხვადასხვაგვარი თავგადასავალი. მე რამდენიმე ვამბობთ: ამერიკაში ჩასვლიდან 3 წლის შემდეგ ჩემი მუუღმე დაფეხმძიმდა, როდესაც კლინიკაში მივედი, გვითხრეს, თქვენ ინტერნაციონალური სტუდენტები ხართ და ამიტომ ჯანმრთელობის დაზღვევა არ გაქვთო. ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენი დაზღვევა, თუმცა, მათ მოგვცეს ჩამონათვალი, რასაც ჩვენი დაზღვევა ფარავდა. ეს იყო უმნიშვნელო ავადმყოფობები, მეორე მხარეს ეწერა კატასტროფული დაავადებები, რომელშიც შედიოდა ფეხმძიმობაც. ანუ ამ კომპანიის მიხედვით, ჩემი მუუღმის ფეხმძიმობა კატასტროფად ითვლებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ფული შეგვეგროვებინა. ვცადეთ რამდენიმე სხვადასხვა სახის სამუშაოზე მოსვლა, დავდიოდით კარდაკარ და ვცდილობდით მოვეპოვებინა სხვადასხვა ყურნალ-გაზეთების გამომწერის მსურველები, საიდანაც ჩვენ მივიღებდით გარკვეულ პროცენტს, მაგრამ ამან არ გაამართლა. შემდეგ გამახსენდა, რომ უნივერსიტეტში იყო ნიგნების მაღაზია, სადაც ყიდულობდნენ და ყიდდნენ ნახმარ ნიგნებს. ასევე გამახსენდა, რომ მინესოტაში ვნახე მაღაზია, რომელშიც იყიდებოდა სწორედ ის ნიგნები, რაც უნივერსიტეტის მაღაზიაში, თან ბევრად უფრო იაფად. გადავწყვიტე, ამ მაღაზიაში მეყიდა ნიგნები, ჩამებარებინა უნივერსიტეტის ნიგნების მაღაზიაში და ამით გარკვეული მოგება მიმეღო. ვიყიდეთ დაახლოებით 40-მდე ნიგნი და წავიღეთ უნივერსიტეტში. მათ დაიწყეს შემომწება და ამ ნიგნების შესყიდვაზე უარი გვითხრეს, შემდეგ ისევ არა, ისევ არა და ა. შ. აღმოჩნდა, რომ ყველა ეს ნიგნი ძველი გამოცემა იყო და მხოლოდ ერთი აღმოჩნდა „ნაყრილი“, იმ მომენტში მივხვდი, რომ ჩემგან კარგი ბიზნესმენი არ გამოვიდოდა. მოგვიანებით ჩემმა მუუღმემ დაიწყო მუშაობა და მეც

ვიპოვნე დამატებითი სამსახური. ამ ამბავსაც მოგიყვებით, სტიპენდიას ვლებულობ, საკმარისი არ არის, დოქტორანტურაში ვსწავლობ და უკვე იმ დონეზე ვარ, რომ თვითონ შემიძლია ვასწავლო დაბალ საფეხურზე მყოფ სტუდენტებს. ჩვენ ვცხოვრობდით მინეაპოლში, სადაც ბევრი კოლეჯი იყო, მივედი ერთ-ერთ მათგანში და ვიკითხე ხომ არ სჭირდებოდათ ვინმე ვინც წაიკითხავდა ლექციებს თემაზე „შესავალი ეკონომიკაში“. ისინი დამთხმდნენ. ამერიკაში ყველას, ვინც ასწავლის, პროფესორს ეძახიან. ეს ერთდროულად არის ტიტულიც და ხარისხიც. არასაკმარისი ხელფასის გამო კოლეჯის გვერდზე არსებულ „დომინოს“ პიცერიაში, ლამის საათებში კურიერად დავიწყე მუშაობა. პიცა მიმქონდა იმათთან, ვინც პიცერიაში დარეკავდა პიცა მოგვითანეთო. ისინი კი რაღაცას გვჩუქნიდნენ. ესეიგი ძირითადად ვმუშაობდით „ჩაის“ ფულის გამო, ეს იყო მთავარი შემოსავალი. ირგვლივ ბევრი სტუდენტი ცხოვრობდა. მათთან არ გვიყვარდა პიცის მიტანა, რადგან ჩაის ფულს ვერ გვაძლევდნენ. ამიტომ სტუდენტებთან პიცის მიტანა, როგორც იძულებითი საქმე, ასე გავანაწილეთ: რამდენიმე კურიერი ვიყავით და რიგის მიხედვით მივდიოდით სტუდენტებთან გამოძახებაზე, ოთხშაბათობით პიცერიას ჰქონდა აქცია, ერთი პიცის ფასად ყიდულობდი 2 პიცას, ამიტომ ამ დღეს ძალიან ბევრი შეკვეთა იყო სტუდენტებისგან. ერთ-ერთ ძალიან ცივ დღეს ჩემი რიგიც მოვიდა, სტუდენტებმა პიცა მოითხოვეს ბინაზე. წავიღე. მაცვია ძალიან თბილად, მახურავს დიდი, იმდენად დიდი ქუდი, რომ ძალიან რთულია ჩემი ცნობა. მივედი კართან, დავრეკე ზარი, კარი ახალგაზრდა ქალბატონმა გააღო მივესალმე, მივანოდე პიცა, გამოვართვი ფული და დავემშვიდობე. შეცრად ეს ქალბატონი მეძახის: „უკაცრავად, უკაცრავად!“ მიყურებს თვალეში, შემდეგ მეკითხება „პროფესორი ლევი ხართ?“ ვიცანი ეს გოგონა — ჩემი სტუდენტი. ქუდი-მოვიხადე და კიდევ ერთხელ მივესალმე. — „აქ რას აკეთებთ?“ სწრაფად ვუპასუხე, — „მინდოდა შემემოწმებინა მეცადინეობთ თუ არა“. მთხოვა დავლოდებოდი და „ჩაის“ ფულის გამოსატანად შებრუნდა, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, არ დაველოდე და წამოვედი. მეორე დღეს მთელმა კოლეჯმა იცოდა, რომ პროფესორი ლევი პიცის კურიერი იყო, როდესაც რეკადნენ შეკვეთაზე, ითხოვდნენ, რომ მე მიმეტანა მათთვის პიცა.

— როდის დაასრულეთ სწავლა?

— 1988 წელს, 7 წლის შემდეგ დავასრულე სწავლა. სწავლის პერიოდში გადავედი კალიფორნიის უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ დავბრუნდი ისრაელში და დავიწყე სამსახურის ძებნა, თუმცა, ვერაფერი ვიპოვე, ამიტომ 3 თვის შემდეგ მომიწია ამერიკაში დაბრუნება, 12 წლის განმავლობაში ვმუშაობდი ემორის უნივერსიტეტში, ჯორჯიის შტატში. ამასობაში მეორე ვაჟიც შეგვეძინა. მე ქართულად ვესაუბრებოდი მათ, ჩემი მუუღმე — ებრაულად. საინტერესო ამბავია, როდესაც ჩემი უფროსი შვილი დაიბადა და ქართულად დავიწყე საუბარი, არ მქონდა ქართული ნიგნები. დავწერე წერილი და გამოვაგზავნე თსუ-ს გამომცემლობის სახელზე, წერილმა საქართველომდე ჩამოაღ-

ნია. რამდენიმე თვის შემდეგ მივიღე იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, და სხვადასხვა ქართულენოვანი წიგნები, რომლითაც გავზარდეთ ბიჭები ამერიკაში.

— რამდენი ხნის შემდეგ ჩამობრძანდით საქართველოში პირველად?

— წინა ხელისუფლების მმართველობის დროს ჩატარდა ინტერნაციონალური კონფერენცია და 2 დღით ჩამოვედი. ეს ვიზიტი არ დამავინწყებდა, მაგრამ კიდევ უფრო დაუვიწყარი იყო 3 წლის წინ, როდესაც პირველად ჩავედი ჩემს ცოლშვილთან ერთად ცხაკაიაში. თბილისიდან ჩავედით სენაკის სადგურში, მახსოვდა სადგურიდან როგორ უნდა მივსულიყავი ჩემს სახლში, არაფერი გამოცვლილა, ყველაფერი ვიცანი. დავათვალიერეთ მთელი ქალაქი, გზად გავიარეთ დუქანი, რომელშიც ჩემი ძმა მუშაობდა მექუდედ, ჩემი სახლი გორკის ქუჩის 18-ში იყო, იქამდეც მივედით. ტურისტულად ჩაცმულობის გამო, სენაკელების ყურადღებას ვიპყრობდით, ჩვენ ირგვლივ ხალხი მოგროვდა. მათგან ერთ-ერთმა ხანშიშესულმა მიცნო და დამიძახა დანიელ! მე ცრემლები წამომივიდა, გავიხსენე ჩემი მეგობრები, კლასელები, რამდენიმე მათგანს შევხვდი კიდევ. სახლშიც შევედით, ჩემს შვილებს ვუხსნიდი სად რა ოთახი იყო, სად მეძინა და ა. შ. ეს ძალიან ემოციური მომენტი იყო. ვესტუმრეთ იმ სკოლას, რომელშიც ვსწავლობდი. გასაოცარია, მაგრამ ხალხი მცნობდა. შევედით ბაზარშიც. მოვაჭრეებმა დატოვეს თავიანთი დახლები და შემოიკრიბნენ ჩემს ირგვლივ. ისინი მეკითხებოდნენ, მე ვსაუბრობდი, ვყვებოდი ჩემს მშობლებზე, და-ძმაზე, ქართველების ცხოვრებაზე ისრაელში, ისე, თითქოს ლექციას ვატარებდი.

— ყოველწლიურად სტუმრობთ საქართველოს?

— წელიწადში ორჯერ ჩამოვდი-

ვარ, ი.ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ვატარებ ლექციებს. შეიძლებოდა მხოლოდ სიზმარში მენახა, რომ მე 24 წლის შემდეგ, წელიწადში ორჯერ ჩამოვიდოდი საქართველოში და სტუდენტებს, ახალგაზრდებს ჩემს გამოცდილებას და ცოდნას გავუზიარებდი. ეს წარმოუდგენელი იყო. ჩემთვის ყველაფერი ქართული ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირფასია, ისიც კი, რასაც თქვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ ამჩნევთ. ქართველებს ავიწყდებათ, როგორი ლამაზია საქართველო, როდესაც ამ ქვეყანას ტოვებ და შემდეგ ბრუნდები, უფრო კარგად ხვდები ამას. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, ის, თუ როგორ აფასებს ქართველი ხალხი ხელოვნებას და თავის მოღვაწეებს, ბევრ ქვეყანაში ვერ შეხვდებით თითქმის ყოველ მეორე სახლზე წარწერას „ამ სახლში ცხოვრობდა...“. ეს ქვეყანა ძალიან მდიდარია ხელოვნებით და კულტურით..

— ახლანდელი თქვენი ცხოვრების შესახებ რას გვეტყვი? ამჯერად სად მოღვაწეობთ?

— ახლა ვცხოვრობ ისრაელში, ბარ-ილანის უნივერსიტეტის გარემოში. ეს არის თელ-ავივის ნაწილი. ამერიკაში არის პროფესორობის სამი საფეხური. ჯერ ასისტენტი-პროფესორი, შემდეგ ასოცირებული პროფესორი და ბოლოს — სრული პროფესორი. 6 წლის ასისტენტი-პროფესორობის შემდეგ ლეზულობ ასოცირებული პროფესორის ხარისხს და ეს არის მუდმივი სამსახური. როდესაც მე მივიღე ასოცირებული პროფესორის ხარისხი, სამსახური შემომთავაზეს ისრაელში, ამერიკა ძალიან კარგია, მაგრამ ჩემს ახლობლებთან, ჩემს ოჯახთან ყოფნაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამერიკიდან დავბრუნდით 2002 წელს, ამჟამად ვმუშაობ ბარ-ილანის უნივერსიტეტში. ჩემი მეუღლე ადმინისტრაციაში მუშაობს, მე ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორი ვარ. 5 წლის წინათ

ვიყავი ამავე ფაკულტეტის დირექტორი. გარდა ამისა, ყოველწლიურად ჩავდივარ 1 თვით ამერიკაში, ემორის უნივერსიტეტში და ვკითხულობ ლექციებს.

— რამდენი ხნით, რა პერიოდში და რა მიზნით სტუმრობთ ხოლმე საქართველოს?

— საქართველოში, მოვდივარ წელიწადში ორჯერ. იანვარ-თებერვალში 4 კვირის განმავლობაში ლექციებს ვკითხულობ 2-3 თემაზე, აუდიტორიაში ინგლისურად, აუდიტორიის გარეთ ხანდახან — ჩემი ქართულით. ლექციებს ვკითხულობ მაკროეკონომიკაში, ივლისში ჩამოვდივარ ფაკულტეტის ინტერნაციონალურ შეხვედრებზე. ამჯერად ამ მიზნით ვარ ჩამოსული. ჩვენ ვეხმარებით აისეტს განვითარებაში, ვწყვეტთ სხვადასხვა პრობლემებს, ორგანიზაციულ საკითხებს, ვადგენთ გეგმას, საგნების ჩამონათვალს, ვინვეთ ახალგაზრდა პროფესორებს საზღვარგარეთიდან, ვგეგმავთ სიახლეებს, ვატარებთ კვლევებს, ვცდილობთ ყოველწლიურად ავამაღლოთ სწავლის ხარისხი. აისეტი ძალიან მნიშვნელოვანი უნივერსიტეტია, აქ ეკონომიური ფაკულტეტი დასავლეთის დონეზეა. ლექციები ინგლისურ ენაზეა. ვასწავლით თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერებებს. აქ არ არის ბაკალავრიატი, მხოლოდ სამაგისტრო საფეხურია, თუმცა, თსუ-სთან ერთად გვსურს დავუშვათ ბაკალავრიატის პროგრამაც, ეს თემაც განვიხილეთ დღეს. შემიძლია ვთქვა, რომ ვარ ილბლიანი ადამიანი. ის მომენტი, რომ მე საქართველოს შემიძლია ჩემი ცოდნა დაუბრუნო, ძალიან ბედნიერს მხდის.

— ქართული განათლების სიტემაზე თუ შეგიძლიათ რამის თქმა? როგორი დონით მოდიან სტუდენტები აისეტში?

— ძალიან მონდომებულები მოდინ აქ სტუდენტები. ვასწავლი

ისრაელში, ვასწავლი ამერიკაში, მაგრამ ქართველი სტუდენტები განსაკუთრებით ყურადღებიანი არიან, ერთი სიტყვაც კი არ გამოირჩებათ, ძალიან დიდი მოტივაციაა. დაუფრებელი, არაჩვეულებრივი შეგრძნებაა როცა ხედავ, რომ მათ უყვართ მოსმენა, მათ უყვართ დაკვირვება, ისინი ცდილობენ, დაიჭირონ შენი თითოეული სიტყვა. ჩემთვის ასეთ ახალგაზრდებთან მუშაობა ძალიან დიდი სიამოვნებაა.

— რით განსხვავდებიან ქართველი სტუდენტები სხვა ეროვნების სტუდენტებისაგან?

— ქართველები გამოირჩევიან გახსნილობით. ძალიან ღია, თბილი პიროვნებები არიან. ასეთი ურთიერთობები უნიკალურია საქართველოში სტუდენტების შეფასება რთულია, ამერიკაში ბაკალავრიატის სხვაგვარი სისტემაა, ისინი იღებენ ზოგად განათლებას, მაგ: ის, ვინც ეკონომიურს სწავლობს, პროფესიულის გარდა, სწავლობს სხვა საგნებსაც. ისრაელში სხვაგვარადაა, იქ ეკონომიურის სტუდენტები მხოლოდ პროფესიულ საგნებს გადიან. ისრაელში სუდენტობა უფრო დიდ ასაკში იწყება და ისინი უფრო ჩამოყალიბებულნი არიან, ამერიკაში 16 წლის ასაკში უკვე სტუდენტი ხდები. აი, საქართველოში, ისეთივე უფროსნი არიან საქციელით და გონებით, როგორც ისრაელში, მაგრამ არა ასაკით. ეს შეიძლება რთული ეკონომიური მდგომარეობით იყოს გამოწვეული.

— რას გვეტყვი ინტერვიუს დასასრულს?

— მთელ საქართველოს და ქართველებს ვუსურვებ წინსვლასა და წარმატებას.
— გმადლობთ.

მკითხველისადმი: რედაქცია ამჯერად თავს იკავებს ისაუბროს ბატონი გიორგი ბერნშტეინის ქვემოთ მოთავსებული „ლინგვისტური ანაქრონიზმის“ და მისი კომენტარების შეფასებისაგან. იქნებ, ამ საკითხზე ისაუბროს „მენორას“ მკითხველმა, იქნება ეს საქართველოსა, თუ ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელობა. „მენორა“ გამოთქვამს მზადყოფნას დაუთმოს ადგილი ქართველი ებრაელი მეცნიერების, ფართო მკითხველის გამოსმაურებას

ქართველი ებრაელი – თანამედროვე ისრაელის ეთნოლინგვისტური ანაქრონიზმი

15 Июль 2015 г. в 13:47
George Bernshtein

თუ ისრაელის სახელმწიფოს შექმნას საფუძვლად ედო ებრაელთა თავმჯდომარის იდეა ისტორიულ სამშობლოში, ისრაელის ახალი საზოგადოების საფუძველი უნდა გამხდარიყო ებრაელ რეპატრიანტთა ისეთი ერთობა, რომელიც ბოლოს მოუღებდა ასწლეულობის განმავლობაში მათ შორის გაჩენილ განსხვავებულობას და სათავეს დაუდებდა ერთიან ისრაელელ ხალხს (ისრაელელი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ებრაელთა ნაციონალური სახელმწიფო უნდა გამხდარიყო ის საშუალება, სადაც მსოფლიოში გაფანტული სხვადასხვა ებრაელობა დაუბრუნდებოდა თავის თავს. ასეთი იყო ისრაელის სახელმწიფოს შემქმელ მამამთავართა სიონისტური ჩანაფიქრი. ეს საკითხი ებრაელობისთვის ნაციონალური მნიშვნელობისა და პირდაპირ უკავშირდება ისრაელის მომავალს, მის უსაფრთხოებასა და განვითარებას. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პირველივე წლებიდან, როდესაც ალია გააქტიურდა როგორც ევროპიდან, ისე აზიიდან, ისრაელის ებრაელობას შორის განსხვავებულობის პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, რაც, ფაქტობრივად, ყველა მიმართულებით აისახებოდა ახალგაზრდა სახელმწიფოს განვითარებაზე. ისრაელის უახლესი ისტორია იცნობს იმ სირთულეებს, რომელიც დაკავშირებული იყო ევროპის დემოკრატიულ და ინდუსტრიულ გარემოში დაბადებულ-გაზრდილ ებრაელ რეპატრიანტთა და აზიისა თუ აფრიკის პატრიარქალურ, აგრარული ყოფიდან გამოსულ ებრაელთა ერთობ შეუთავსებელ ურთიერთობასთან. აცნობიერებდნენ რა მოსალოდნელ პრობლემებს, ერთიანი ებრაული საზოგადოების შექმნის გზაზე, სიონისტი ლიდერების ერთ-ერთი მთავარი და პირველი გადაწყვეტილება საერთო ენას უკავშირდებოდა. და ეს უნდა ყოფილიყო ივრითი, ახლად აღორძინებული, მაგრამ ებრაელთა ისტორიული ენა. ამ პოლიტიკამ გაამართლა _ ამიერიდან ისრაელის ებრაელობის საერთო საკომუნიკაციო საშუალება გახდა მშობლიური ენა. ეს კი იყო უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რათა მათ თავი ერთ ხალხად ეგრძნოთ.

მაგრამ ისრაელის ერთიანი საზოგადოების ფორმირების გზაზე ჯერ კიდევ რჩებოდა და ახლაც რჩება ბარიერები იმ ებრაელებისგან, რომლებიც დაიბადნენ ისრაელს გარეთ და გაიზარდნენ სხვადასხვა კულტურით, რაც, თავის მხრივ, ნაციონალური იდეის გარშემო გაერთიანების საქმეში ზოგჯერ შესაძლოა, წინააღმდეგობა იქონიებდეს. მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა, ისრაელის ერთიანი ჰომოგენური ერის შექმნას ჯერაც ხელს უშლის იმიგრანტთა ეთნიკურ, კულტურული თუ ლინგვისტური განსხვავებულობა. შედეგად, თუ ისრაელში დაბადებული თაობა საკუთარ თავს უკვე ისრაელელად მიიჩნევს და ისრაელს თავის მიწად აღიქვამს, სხვაგან გაზრდილი თაობები, ხშირ შემთხვევაში, გაორებულია. მეტიც, მათ ერთ ნაწილში დიდია ნოსტალგია და ზოგჯერ, იმედგაცრუებაც.

თანამედროვე ისრაელის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის სოციოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ მსგავსი პრობლემა ძირითადაც გაჩნდა დაბალანვითარებული ქვეყნებიდან იმიგრირებულ ებრაელებში, რომლებმაც ჯეროვნად ფეხი ვერ აუწყვეს ისრაელის განვითარების ტემპს. როგორც წესი, კომპაქტურად ჩასახლებული ასეთი ეთნოლინგვისტური ჯგუფები გამოირჩევიან არამშობლიურ გარემოში შექმნილი კულტურისადმი ერთგულებითა და შენარჩუნების სურვილით, რაც მათ ისრაელის ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში `სახარში ქვაბის` მიღმა დარჩენას ნიშნავს. ნათქვამის საუკეთესო ილუსტრაციაა ქვეყანაში განსახლებულ ე.წ. ქართველ ებრაელთა ჯგუფი, რომელიც ფორმით ებრაელია, ხოლო თავისი არსით კვლავ ქართულ ეთნოკულტურულ ორბიტაზე რჩება.

(მსგავსი პრობლემები ჯერ კიდევ ახასიათებთ არაბული სამყაროდან თუ შუააზიიდან რეპატრირებულ ებრაელებსაც. ცალკე თემაა ე. წ. რუსი ებრაელები, რომელთა მაგალითი კიდევ უფრო ცხადყოფს, რომ ისრაელის საზოგადოების ნაციონალური განვითარების მოდელი სწორედ კუთხურ განსხვავებულობათა წაშლაზე უნდა გადიოდეს).

ის, რომ მულტიკულტურალიზმი თანამედროვე ისრაელის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, ისრაელის ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, თუმცა ალოგიკური და გაუგებარია ებრაელ იმიგრანტთა ნებისმიერი ჯგუფის ამ მულტიკულტურალიზმის ნაწილად ქცევა, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება სიონისტურ იდეალებს. ამ მხრივ, ე.წ. ქართველ ებრაელთა ერთი ჯგუფის მიერ სხვადასხვა კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობით, ქართული გამოცემებისა და ელექტრონული მედიის დაარსებით, ქართველ ებრაელობაში ქართველობის კულტივირება უკვე კარგა ხანია მნიშვნელოვან ბარიერად იქცა

ინტეგრაციის საქმეში.

რამ განაპირობა ე. წ. ქართველ ებრაელთა ისრაელის განვითარებული საზოგადოებისგან თვითგარიყვა, არცთუ მწელი მისახვედრია; ვითარება მსგავსია გასული საკუნის 50-60-იან წლებში ისრაელში არსებული ტენდენციისა, როდესაც მესამე სამყაროდან რეპატრირებული ებრაელობა, იმის გამო, რომ ფეხი ვერ აუწყო ევროპულ ტრადიციებზე აღზრდილ ებრაელთა შექმნილ სახელმწიფოს განვითარებას, საკუთარ თავში ჩაიკეტა და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებით იმედგაცრუებაც კი დაეუფლა.

თუმცა ისრაელის სახელმწიფო ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა ინტეგრაციის პროცესის წარმატებულობისა და იმიგრირებულთა აბსორბციისთვის. სამისოდ მთავარი ბერკეტი, უპირველეს ყოვლისა, თავად რიგით მოქალაქეთა ხელშია. საკუთარი თავის მთლიან ისრაელურ საზოგადოებასთან ასოცირება-ინტეგრაციისთვის ისეთი საშუალებები, როგორცაა ისრაელის განათლების სისტემა, ჯარი, უსაფრთხოებაზე კოლექტიური ზრუნვა არის ის ლიფტი, რომელიც ისრაელის არც ერთ მოქალაქეს, მით უფრო ებრაელს, არ ტოვებს საზოგადოების ფსკერზე. ჩანს, ამ შესაძლებლობათა გამოყენება ქართველი ებრაელებისთვის ჯერაც მთავარ გამოწვევად რჩება.

ისრაელში ე. წ. ქართველ ებრაელთა ეთნოლინგვისტური სახის შენარჩუნებაში გარკვეულ როლს ასრულებს, აგრეთვე, საქართველოსთან მუდმივ კავშირში მყოფი გარკვეული ჯგუფების პირადი, მერკანტილური ინტერესებიც, რომელიც ხშირად კარგადაა შენიღბული 26-საუკუნოვანი მეგობრობის ლოზუნგით, რაც საქართველოში დაბადებულ-გაზრდილ და შემდეგ ისრაელში რეპატრირებულთათვის ერთობ სენსიტიური თემაა.

ამასთან, რჩება შთაბეჭდილება, რომ ე. წ. ქართველ ებრაელთა ერთი ნაწილის ისრაელში დაბრუნება ოდენ ინსტიტუტური ნაბიჯი იყო, ვიდრე სიონისტურად მოტივირებული. არადა, რეალურად, ალია უნდა ყოფილიყო ე. წ. ქართველ ებრაელთა იდენტობის დასასრულის დასაწყისი. შესაბამისად, ყველა იმ მახასიათებლის (ენა, კულტურული ტრადიცია) გაქრობის წინაპირობა, რომელიც ებრაელობას უცხო გარემოში ჩამოუყალიბდა.

ისრაელის ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში ე. წ. ქართველ ებრაელთა მიზანი არ უნდა იყოს შენახვა და მომავალი თაობებისთვის ქართული კულტურული მოდელის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი იდეოლოგიურად ვერ იქნებიან ორიენტირებული ისრაელის სახელმწიფოსა და სიონიზმის პრინციპებზე.

ნათქვამი ეხება ტერმინ `ქართველ-ებრაელსაც`, რომელიც თავისი არსით, ეწინააღმდეგება `ისრაელელის` ცნებას, ხოლო აუცილებელი ინტეგრაციის პროცესში ანაქრონიზმად იქცევა.

თუ ისრაელის სახელმწიფოს გარიყრაზე მსოფლიოს ათეული ქვეყნიდან თითქმის 90 ენაზე მოსაუბრე ებრაელებმა, ახალი ისრაელის საზოგადოების შექმნისთვის, შეძლეს `კუთხურ` ენებზე და, არა მარტო ენებზე, უარის თქმა, სავსებით ბუნებრივ და საჭირო პროცესად უნდა მიიჩნეოდეს საქართველოდან ასულ ებრაელთა მიერ თვითსახელწოდებისთვისაც ზურგის შექცევა, მით უმეტეს, დღეს ისრაელში დაბადებული ახალი თაობების წყალობით, უკვე არსებობს საამისო წინაპირობა. აბსოლუტურად სამართლიანად შენიშნავს თავის საჯარო გამოსვლებში დიდი ალიის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი იციკ მოშე, რომ ალიის მიზანი არ ყოფილა ისრაელში დაბრუნების შემდეგ ქართველი, რუსი, მარაკოელი თუ სხვა ებრაელთა ჯგუფების `კუთხური` სახის შენარჩუნება, არამედ მათ სათავე უნდა დაედოთ ერთიანი, ძლიერი ისრაელელი ხალხისა და სახელმწიფოსთვის. კონკრეტულად, ქართველ ებრაელებზე კი იციკ მოშე მიუთითებს, რომ მხოლოდ გაისრაელელებული და ინტეგრირებული, საქართველოდან ასული ებრაელი შეიძლება გამოადგეს საკუთარ თავს, ისრაელსაც და სიკეთის მომტანი იყოს ისრაელ-საქართველოს ურთიერთობისთვის.

უდავოა, ე. წ. ქართველ ებრაელთა სტატუს კვოს შენარჩუნება დეგრადირების ტოლფას მოვლენად უნდა განიხილებოდეს, რაც ეწინააღმდეგება სიონისტურ იდეალებს და, შესაბამისად, ისრაელის ნაციონალურ ინტერესებს.

Грузинский еврей – этнолингвистический анахронизм современного Израиля

15 Июль 2015 г. в 13:47
George Bernshtein

Если воснове создания Израильского государства лежала идея собрания евреев на исторической родине, основанием для нового общества Израйля должно было стать такое единство еврейских репатриантов, которое положило бы конец появившимся между ними за столетия различиям и дало бы начало единому израильскому народу (израильтянам). Иными словами, национальное государство евреев должно бы существовать для разбросанного по миру еврейства средством возвращения к себе. Такой была сионистская задумка родоначальников, создавших Израильское государство.

Этот вопрос носит для еврейства национальное значение и прямо связан с будущим Израйля, его безопасностью и развитием.

С первых же лет создания Израильского государства, когда Алия активировалась как из Европы, так и из Азии, проблема различий между израильским еврейством стала еще более явной, что, фактически, по всем направлениям отражалось на развитии молодого государства. Новейшая история Израйля знакома со сложностями, которые были связаны с несовместимыми отношениями еврейских репатриантов, родившихся и выросших в демократической и индустриальной среде Европы и евреев-выходцев из патриархального, аграрного быта Азии и Африки.

В связи с осознанием ожидаемых проблем на пути создания единого еврейского общества, одним из главных и первых решений сионистских лидеров было связано с общим языком. И это должен был быть иврит, вновь возрожденный, но исторический язык евреев. Эта политика оправдала себя – отныне общим средством коммуникации еврейства Израйля стал родной язык. А это был важнейший шаг к тому, чтобы они почувствовали себя одним народом.

Однако на пути формирования единого израильского общества еще оставались и до сих пор остаются барьеры из тех евреев, которые родились за пределами Израйля и выросли в разных культурах, что, в свою очередь, иногда может быть препятствием в деле объединения вокруг национальной идеи. Несмотря на старания государства, созданию единой, гомогенной израильской нации все еще мешают этнические, культурные и лингвистические различия иммигрантов. В результате, если поколение, родившееся в Израиле, уже считает себя израильтянами и воспринимает Израиль как свою землю, поколения, выросшие в других местах, зачастую раздвоены. Более того, часть из них испытывает ностальгию, и иногда и разочарование.

Социологический анализ различных групп общества современного Израйля выявляет, что подобная проблема, в основном, появилась среди евреев, иммигрировавших из слаборазвитых стран, которые несмотря подстроиться под темп развития Израйля. Как правило, компактно расселенные подобные этнолингвистические группы отличаются верностью культуре, приобретенной в неродной среде, и желанием сохранить ее, что означает, что они остаются за пределами «горнила» формирования нового израильского общества. Наилучшей иллюстрацией сказанного является проживающая в стране группа т.н. грузинских евреев, которая по форме является еврейской, но по своей сути по-прежнему остается на грузинской этнокультурной орбите.

